

## ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა


No 4

### რას ნიშნავს სამშვიდობო შეთანხმება ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის?

*ზურაბ ბატიაშვილი*

ა.წ. 16 სექტემბერს აშშ-ს ინიციატივით ვაშინგტონში ხელი მოეწერა ისტორიულ სამშვიდობო შეთანხმებას (დოკუმენტის ოფიციალური დასახელება Abraham Accord), რის მიხედვითაც, ისრაელმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა გაერთიანებულ არაბულ საემიროებთან და ბაჰრეინთან. აღნიშნული შეთანხმების მიხედვით, მხარეები გახსნიან საელჩოებს და აპირებენ თანამშრომლობას სხვადასხვა (მათ შორის, ეკონომიკის, ვაჭრობის, ტურიზმის და უსაფრთხოების) სფეროებში.

მანამდე ისარელს მხოლოდ 2 არაბულ ქვეყანასთან - ეგვიპტესთან (1974 წ.) და იორდანისთან (1994 წ.) ჰქონდა გაფორმებული მსგავსი ხელშეკრულება. ამგვარად, ეს ასეთი სახის პირველი დიდი შეთანხმებაა ბოლო 26 წლის განმავლობაში, რის გამოც მას განიხილავენ მნიშვნელოვან გარღვევად ისრაელ-არაბული ურთიერთობების ნორმალიზაციის მიმართულებით.



*თეთრ სახლში გამართული ხელმოწერის ცერემონია*

აშშ-ს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ მოსალოდნელია სხვა ქვეყნების მიერთება ამ შეთანხმებასთან. ამ ქვეყნებში კი იგულისხმებიან საუდის არაბეთი, ომანი, კატარი და მაროკო.

### ფართო სურათი

თეთრ სახლში ხელმოწერილი შეთანხმება არის არა ერთი ცალკე აღებული მოვლენა, არამედ იგი ახლო აღმოსავლეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ერთგვარი გაგრძელება და გამოძახილია.



### ისრაელის სახელმწიფოს ცნობის საკითხი ახლო აღმოსავლეთში

საქმე იმაშია, რომ არაერთი ნაბიჯის (გენერალ სოლეიმანის ლიკვიდაცია, თეირანის წინააღმდეგ უმკაცრესი სანქციები და ა.შ.) მიუხედავად, ვერ მოხერხდა ირანის „გატეხვა“. ამიტომ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მთელი ძალებით გრძელდება დაპირისპირება ირანის გარშემო შემოკრებილი ძირითადად შიიტური ქვეყნების (და ძალების) კოალიციასა და

ათწლეულების განმავლობაში მასთან დაპირისპირებულ საუდის არაბეთსა და რიადთან ალიანსში მყოფ ძირითადად სუნიტური ქვეყნების ბანაკს შორის.

უფრო მეტიც, ბევრ შემთხვევაში (განსაკუთრებით იემენში, ასევე სირიასა და ნაწილობრივ ერაყშიც) ირანმა და პროირანულმა ძალებმა უპირატესობაც კი მოიპოვეს.

ამას დაემატა ანკარის გამოსვლა სუნიტური ქვეყნების კოალიციიდან (რომელსაც თავად აქვს სუნიტური სამყაროს ლიდერობაზე პრეტენზია) და მისი დაახლოება თეირანთან. შედეგად, ეს ორი ქვეყანა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში სულ უფრო მეტად უპირისპირდება სუნიტურ არაბულ ქვეყნებს (გარდა კატარისა) და ისრაელს.

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ კი ბუნებრივია ისრაელსა და სუნიტურ არაბული ქვეყნების კოალიციას ერთმანეთთან დაახლოებისკენ უბიძგა. მათ დროებით უკანა პლანზე გადასწიეს პალესტინის პრობლემა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მათ შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის გზაზე მთავარ პრობლემას წარმოადგენდა.

მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას კი ხელი შეუწო და კოორდინაცია გაუწია მათმა მთავარმა მოკავშირემ შეერთებულმა შტატებმა. ტრამპს აშშ-ში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიაში ამ წარმატებული ნაბიჯის სათავესოდ გამოყენებაც შეუძლია.

სამაგიეროდ, ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას მკვეთრად უარყოფითად შეხვდნენ ირანი და თურქეთი (საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელს 1949 წლიდან მოყოლებული თავად აქვს დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან).

ასევე უკმაყოფილოა პალესტინის ადმინისტრაცია, რომელიც მოძმე არაბული ქვეყნებისგან მიტოვებულად გრძნობს თავს. თუმცა, მათი პოზიცია არ იქნა გათვალისწინებული.

### **დასკვნები:**

- ისრაელსა და ორ არაბულ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია ახლო აღმოსავლეთში ძალთა ბალანსის ცვლილებით გამოწვეულ ახალ რეალობას უკავშირდება, რომელმაც ცხადად გამოკვეთა ანტიირანული ძალების შემჭიდროება-კონსოლიდაციის საჭიროება;
- ამ პროცესს სავარაუდოდ გაგრძელებაც ექნება. მოსალოდნელია, რომ მას შეუერთდებიან საუდის არაბეთი და რეგიონის სხვა სუნიტური ქვეყნები;
- ირანი და რეგიონის პროირანული ძალები (შესაძლოა, რუსეთიც) შეეცდებიან კონტრზომების მიღებას ახალი რეალობის წინააღმდეგ;
- რეგიონში მოვლენების შემდგომი განვითარება დიდწილად დამოკიდებული იქნება აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე, ასევე რუსეთის, თურქეთისა და ირანის შემდგომ ნაბიჯებზე.